

## ქელქვის/ ZELKOVA CARPINIFOLIA /PALL/-DIPP მეტყვეობითი ღახასიათება და მისი ზამოყენების თავისებურება

**რ. რუხაძე, ზ. გიორგაია, დ. გიორგაია**

*ნაშრომში განხილულია ძელქვის/Zelkova Carpinifolia /Pall/-Dipp მეტყვეობითი თვისებები და მისი გამოყენების საკითხები*

*ძელქვის გვარში შემავალი ექვსი სახეობა ტანმალალი ხეებია. გავრცელებულია ჩინეთში, იაპონიაში, კვიპროსზე, კავკასიაში კორეაში, თურქეთში, კრეტაზე. მისი გავრცელების არეალი წყვეტილია, რაც ადასტურებს მის ფართო გავრცელებას წარსულში.*

1. Zelkova carpinifolia/Pall/Dipp.
2. Zelkova abelicea /Lam/Boiss
3. Zelkova schneidriana /Hond-Mazz/
4. Zelkova serrata /Thunb/-Makino
5. Zelkova sicula – Di Pasq, Gazeif Querel
6. Zelkova sinica – C.K. Schmid

ამიერკავკასიაში გავრცელებულია ძელქვის ერთი სახეობა რცხილფოთოლა ძელქვა Zelkova carpinifolia/Pall/ – Dipp, რომელიც წარმოადგენს ძვირფას რელიქტურ სახეობას. გვხვდება ძირითადად დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში – სენაკისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, იმერეთში – ქუთაისის, შორაპნის, სვირის მიდამოებში, აჯამეთის დაცულ ტერიტორიაზე, – გურია – ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, კახეთი – სოფ. ქვემო ალვანის მიდამოები, ბაბანეულის დაცულ ტერიტორიაზე, მცენარე შესულია საქ. წითელ წიგნში, როგორც მოწყვლადი (VU) სახეობა. აღნიშნული სახეობა ასევე გვხვდება თალიშის მთის ტყეებში, ლენქორანის დაბლობზე, სამხრეთ აზერბაიჯანში, სამხრეთ ყარაბაღში. იგი დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია ზ.დ. 500–600მ. სიმაღლემდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 1000მეტრამდე, ერთ სახლიანი მცენარეა, მამრობითი ყვავილები კონეშია.

ტანმალალი ხეა 30–მეტრამდე სიმაღლისა და 2მ–მდე დიამეტრით, დიდი გაშლილი ვარჯით, ყლორტები დაფარულია მოყავისფრო, ტოტები. ნაცრისფერი, ღერო კი ნაცრისფერ–ჟანგარო ფერის თხელი ქერქით. ფოთლები კვერცხისფერი ან ელიფსური ფორმის, მოკლეყუნწიანი, კიდეებზე ბლაგვარ დაკბილული, ზედა მხარეს მუქი მწვანე, ქვედაზე ღია მწვანე ხაოიანი, ფოთლები სცივივა გვიან შემოდგომაზე – ნოემბერში (დასავლეთ საქართველოში).

ყვავილსაფარი კვერცხისებრი მუქი ფერის, კაკალი მშრალი, წვრილი, კვერცხისებრი, მჯდომარე, მწვანე ფერის, ზურგზე მცირე ამობურთვით, დანაოჭებული.

ძელქვა ახალგაზრდობიდანვე სწრაფი ზრდით ხასიათდება. სწრაფი ზრდისა და მერქნის კარგი მექანიკური თვისებების გამო იმსახურებს ყურადღებას გაშენების თვალსაზრისით.

ძელქვა სინათლისა და სითბოს მომთხოვნი მცენარეა, ამის გამო იგი ძირითადად დაბლობებსა და მთის ტყეების ქვედა სარტყლებში გვხვდება, მართალია ცნობილია, როგორც მეზოფიტი სახეობა, თუმცა იგი მშრალ ადგილებშიც გვხვდება /კახეთის/ მისი აღმონაცენი გაზაფხულისა და შემოდგომის ყინვებით არ ზიანდება. ზედმეტად მშრალ და აგრეთვე ჭარბტენიან ნიადაგებზე ვერ იზრდება, ნიადაგის სიმდიდრის მიმართაც მომთხოვნი. კარგად იტანს კირიან ნიადაგებს. ფესვთა სისტემა ძლიერი და ღრმა აქვს, რის გამოც მიეკუთვნება ქარგამძლე სახეობებს.

ძელქვა მრავლდება თესლით, ძირკვის ამონაყრითა და ფესვის ნაბარტყით. ნაყოფმსხმოიარობა კორომში ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო ტყის პირას და ცალკეული ხეები ყოველწლიურად. თესლი ხასიათდება ნორმალური აღმოცენებით. ძელქვა შერევის სახით გვხვდება მუხის და ხერკინის კორომებში, მაგრამ ხშირად ქმნის კორომებსაც თავის გაბატონებით. ყვავილობს აპრილში, თესლის დამზადების დრო სექტემბერი, ოქტომბერი, თესლის შენახვის ვადა 5-6 თვე, თესვის ნორმა ერთ გრძივ მეტრში 10 გრამია, კა-ზე კი 300კგ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ძელქვა სხვადასხვანაირად გამოითქმება – მაგალითად კახეთში ალუხი, ავლუხა. სამეგრელოში – ძერქვა.

უკანასკნელი 3 თაობის მანძილზე სახეობის პოპულაციის რიცხოვნება ადამიანის საქმიანობის შედეგად 30%-ით შემცირდა ძელქვის მერქანი მაგარი, მკვრივი და გამძლეა ღია ყვითელიდან – მუქი წითელი ფერამდე. იგი ტექნიკური თვისებებით ზოგიერთ შემთხვევაში მუხის მერქანსაც კი აღემატება. მერქნის

ლამაზი ფერისა და სტრუქტურის გამო გამოიყენება ავეჯისა და ფანერის წარმოებაში. მაქოების დასამზადებლად. შეუდარებელია გემთმშენებლობაში (კარგად იტანს ტენს) ძვირფას მასალას წარმოადგენს საპარკეტო წარმოებაში. გამოიყენებოდა პორტეზში ხიმინჯებისთვის.

მთელ რიგ აზიისა და ამიერკავკასიის მთიან რეგიონებში ძელქვის ტოტებისაგან ამზადებენ საკეებს საქონლისთვის, რის გამოც ხეები თითქმის უტოტებოდ რჩება კენწერომდე.

ძელქვა მეტად ლამაზი შესახედაობის მცენარეა, რის გამოც იგი ითვლება დეკორატიულ მცენარედ და გამოიყენება ხეივნების გასაშენებლად. მას გამოიყენებენ ბონსაის ხელოვნებაში. ფესვის ამონაყარის გამო, რომელიც კრავს ნიადაგს საუკეთესოა ნიადაგის დასამაგრებლად ეროდირებულ ფართობებზე.

ძელქვის საპატივსაცემოდ იაპონიაში. ქალაქ ტოკიოს ერთ-ერთ კვარტალს მიენიჭა მისი სახელი Токио-Роппонги.

1760 წელს კულტურის სახით შეტანილი იქნა საფრანგეთში, სადაც შესანიშნავად აკლიმატიზირდა და გავრცელდა. ასევე კარგად შეეთვისა ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ შტატებს. კარგად იზრდება ინგლისში.

მედიცინის ისტორიიდან ცნობილია, რომ ძელქვის მერქნის მოწითალო გულისა და მოთეთრო ცილისაგან მზადდებოდა სახალხო მალამოები, რომელიც შეიცავდნენ უდიდესი რაოდენობით ქიმიურ ელემენტებს /P,F,K/, რომლებიც დადებითად მოქმედებენ სხვადასხვა დაავადებებზე, მათ შორის ძვლისა და რბილობების ურთულეს და უძიმეს ფორმებზე.

სამწუხაროდ დღეს არავინ ამზადებს ამ მალამოებს, რადგან ძელქვის მერქნის შრობას დიდი დრო სჭირდება (2–3 წელიც), რომლის შემდეგაც უნდა მოხდეს მერქნის დაქუცმაცება – დამუშავება და ა.შ. ამიტომაც დღეს აღარავინ აქცევს სათანადო ყურადღებას.

#### ლიტერატურა

1. გ. გულისაშვილი – ზოგადი მეტყველება – თბილისი, 1957.
2. ი. აბაშიძე – დენდროლოგია, II ნაწ. – თბილისი, 1962.
3. თ. ჯაფარიძე, რ. ჩაგელიშვილი, რ. რუხაძე – „ტყის კულტურები“.
4. А. Умкин, А.Ф. Гаммертан, В.А. Невский «Библиография по лекарственным растениям» Изд-во «Медицина», М. 1957.

#### ЛЕСОВОДСТВЕННАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ДЗЕЛКВЫ (ZELKOVA CARPINIFOLIA/PALL/DIPP.), И ЕЕ ОСОБЕННОСТИ

Р.Рухадзе, З. Гиоргаია, Д. Гиоргаია  
Резюме

В статье рассматривается лесоводственная характеристика изучаемого вида – Дзелквы и ее особенности использования в производстве.

#### SILVICULTURAL CHARACTERISTICS OF DZELKVA CARPINIFOLIA/PALL/DILL AND ITS FEATURES

R. Rukhadze, Z. Giorgaia, D. Giorgaia  
Summary

The article considers silvicultural characteristics of the studied species of Dzelkva – and its particular use for industrial purposes.